წელიწადი 1-ლი　　გაზ. ფასი 10 კ.　　ტელეფონი №76.　　ჯარასკევი ივლისის 14 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით : 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონის . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 78　　ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი　　№ 78

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: გრიშა ალექსანდრეს ძე ქსანდინოვი, მაია, ონისიმე, დათა, კონსტანტინე საბას ძენი, მელიკო, ნადია და ოლღა ჰიჰინაძეები გაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველის ძვირფასი დედისას, მეორესი შვილის, მესამესი დის

ანასტასია საბას ასულის ქსანდინოვისა

დაკრძალვა მოხდება სოფელ კვახრჭირში ამა ივლისის 14, დღით პარასკევს, დილის 9 საათზე.

---

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო" 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო"**

---

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 13, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

მსხვერპლი იმის

მხატვრული დრამა 5 ნაწ. მონაწ. ი. ე. გზოვსკის, ნ. ვ. პანოვა და ვ. გ. გაიდაროვა.

---

ელექტრო „ამპირ" თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 13 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

ოჰ რა კარგი იქნებოდა გამოეთქვა ხმათ

მხატვრული დრამა 4 ნაწ. მონაწ. სახელმწიფო თეატრის მსახ.

---

ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქუთათურ კოოპერატივებს და ქალაქის დუქნებს დაურიგდა გასაყიდად ადგილობრივი სიმინდის ფქვილი. ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 4 მან. 60 კაპიკათ.

---

ჩვენი ქვეყნის რედაქციას

ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ

გადმოსცა 200 მან. საუკეთესო პრემიათ თხზულებისათვის გადმოსცა 200 მან.

(განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.

ერილი უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი. 400—1200 სტრიქონისა.

ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.

---

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთავის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის კანტორაში.

---

ექიმები:

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 12 1/2—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხა. ტელეფონი 135 №.

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე—მეტი სიფრთხილე.

რუსული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. კავკასიის რუსთა საეკლესიო კრების გამო. მარტვილის დამონავება კომისარ ჯალაგანიძისაგან. შრომის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის მეთაურთა უთაურობა. ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექცია. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

## მეტი სიფრთხილე.

გენახსოვრება, მკითხველო, რა აღტაცებით მივეგებეთ რუსეთის რევოლუციას. ენით აუწერელი სიხარული ემჩნეოდა ყველას განურჩევლათ წოდებისა და ხელობისა. რაც ქალაქებში იყო, იგივე იყო სოფლებში. რათ გვახარებდა რევოლუცია და რით გვახარებდა?—აი ეს არის გამოსარკვევი და შემდეგ ადვილი გასაგები იქნება, რამაც გამოიწვია საერთო აღტაცება.

რუსეთის წესწყობილებით ყველა ვიტანჯებოდით, ყველა ვგრძნობდით, რომ ცუდ მდგომარეობაში ვიყავით, ყველას უკეთესი გვინდოდა და გვენატრებოდა, მაგრამ ბრწყინვალე მომავალზე თითქმის უიმედო ვიყავით, რადგან მკაცრი სინამდვილე გრძნობა-გონებას გვიხშობდა. რამდენათაც უფრო ვიტანჯებოდით, იმდენათ უფრო გვეჩქარებოდა მდგომარეობის შეცვლა, ამიტომაც რევოლუციის გაგონება ციური ნამივით მოხვდა ჩვენ გულს და ამან ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა. რატომ? იმიტომ რომ ვფიქრობდით რევოლუცია მოსპობს გამეფებული შემაწუხებელ წესწყობილებას და ნაცვლათ მისა დაწესებს ახალს, თავისუფალს და სასიამოვნოსთქო. სიტყვა „რევოლუცია" გულისხმობდა უსამართლობის მოსპობას და სამართლიანობის დამყარებას. შეიძლება სიტყვა რევოლუცია სხვა რამესაც ეუბნებოდა მოქალაქეთა შეგნებას, შეიძლება ეს სიტყვა თავისი შინაარსით საშიშ მიმდინარეობასაც კი უსახავდა ბევრს, მაგრამ ყოველივე ეს ფერმკრთალათ იმალებოდა და ცხადათ კი რევოლუცია სამართლიანობის მახარობლათ მიგვაჩნდა. ძველი მთავრობის დამხობა და მისი ორგანოების გაუქმება იმდენათ სასურველი და სატრფიალო იყო, რომ უცებ, ერთი შეხედვით ნეტარების წყაროთ სწორეთ ეს მიგვაჩდა. მართლაც, გამოიცვალა მთავრობა, გაუქმდა პოლიცია, მოისპო ჟანდარმერია; ნაცვლად ამისა შესდგა ახალი მთავრობა, გაჩდა მილიცია, მოეწყო კომიტეტები, დაინიშნა კომისარები და ცხოვრებამ რაღაც ახალი სახე მიიღო. ხალხს ეგონა, რომ მით ყველაფერი გაკეთდა და აწი უსამართლობის ხსენებაც კი მოისპოო.

სამწუხაროთ ეს ასე არ იყო. კომიტეტების არჩევა დიდის სიჩქარით მოხდა, კომისრების დანიშვნა და მილიციის შედგენა ერთი ხელის დკვრით ასრულდა. ზოგმა ვერც კი გაიგო. რა ევალებოდა ახალი წესყობილების ძალით. ერთმა საზოგადოების კომიტეტმა დამფუძნებელი კრება დაირქვა. უმეტეს შემთხვევაში პროვინციის კომიტეტებმა ავტონომიური ხასიათი მიიღეს. დროებითი ადმინისტრატიული ორგანოები სისხლის სამართლის წარმოებასაც კი შეუდგენ. ხალხსაც ეგონა, რომ ახალი მთავრობისგან დანიშნულს, ანუ არჩეულ პირებს ყველაფერი შეუძლიათო და, ვინ იცის, რა თხოვნებით არ მიჰმართეს მათ. ძველი მთავრობის დროს ვისაც რა დაკლებია—მისი აღდგენა დღეს მოინდომა. 15 წლის განშორებულმა ცოლ-ქმარმა ახლა მოინდომეს ახალი სამართალი. 25 წლის წინათ სენატში გადაწყვეტილი საქმე ხელახლა გასარჩევათ წამოაყენეს. ერთი სიტყვით ყოველმა გულნატკენმა, დაზარალებულმა და ოდესმე დასჯილმა დღეს მოინდომა საჩქაროთ დაკმაყოფილება. ზოგიერთი სოფლის კომიტეტი კიდეც შეუდგა ასეთი საქმების გარჩევას; ბევრგან კიდეც გააუქმეს უწინდელი კანონები და მათზე აშენებული განჩინებები, ამან გამოიწვია ათასი უსიამოვნება, ახალ მთავრობაზე საყვედურები და ბოლოს ეჭვები მოსამსახურე პირებზე. თანდათან მოგვესმა საჩივრები, რომელთა შინაარსი ერთ რამეს გვეუბნება: „რაც გვეგონა, ის არ მოხდა, იმედი გაგვიცრუვდაო".

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ რევოლუცია ზოგიერთს ქვეყნიურ სამოთხე ჰგონია. ახალი მთავრობა ხალხს შეუცდომელ ორგანოთ ეჩვენება. რევოლუციის გაგონება ბევრს ისეთ მადას უღვიძებს, ვითომც სამოთხის კარები უკვე გაღებული იყოს და ფეხის შემდგმის მეტი აღარა გვჭირდებოდეს რა. ეს გაზვიადებული იმედები საქმისთვის ძლიერ ცუდია; ასეთი იმედები ბოლოს უცნაურ სასოწარკვეთილებას დაბადებს.

მართალია რევოლუცია განახლების ხანას გვისახავს, იგი შესცვლის ცხოვრების პირობებს, სახელმწიფოს წესწყობილებას და ამით უსამართლობას შეამცირებს, მაგრამ რევოლუციას არ შეუძლია ადამიანის ბუნება უცებ გარდაქმნას და აგვაცდოს მისგან.

განახლებულ სახელმწიფოში ბევრ ბოროტ მოქმედებას მოეღება ბოლო, ბევრი უსწორ-მასწორი მიმდინარეობა მოწესრიგდება, მოქალაქეთა ყოფა გაცილებით უკეთეს ნიადაგზე დადგება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ადამიანი ისევ ადამიანი იქნება და მისი ერთგვარი უარყოფითი მხარეები კიდევ თავს წამოყოფს.

რევოლუცია ცდილობს ისეთი პირობები შექმნას, რომ ბოროტება კეთილად შეიცვალოს და უპატიოსნო პატიოსნათ იქცეს.

რევოლუცია დაამყარებს საუკეთესო წესწყობილებას, მაგრამ ეს მოხდება თანდათან და არა უცებ. რევოლუცია განახლებული ცხოვრების დასაწყისია და არა დასასრული.

ჩვენ ვალდებული ვართ ხალხი დავარწმუნოთ, რომ რევოლუციამ ყველა ტკივილს ვერ განკურნავს, უპატიოსნობა, უკანონობა, გაჭირვება მომავალშიც იქნება და მომავალშიც მოგვხდება მათთან ბრძოლა. ამ ქვეყნიურ სამოთხეს ნურვინ მოელის. ვისაც რამე თანამდებობა ეკისრება, ის ვალდებულია ნათლათ აასრულოს თავისი მოვალეობა, თორემ მისი შეცდომები ხალხის თვალში რევოლუციას სახელს გაუტეხს და მოსალოდნელია რევოლუცია თანდათან ჩანელდეს ახალი მართვა გამგეობით უკმაყოფილონი თავისთავათ მიემატებიან იმ ნაწილს, რომელსაც რევოლუცია თავიდან არა სასურველ მოვლენათ, მიაჩნიათ, და ეს კი რევოლუციას დიდ ხიფათს უმზადებს.

ვეცადოთ ხალხს გული არ გაუტყდეს.

ტრიფონ ჯაფარიძე

## რუსული პრესა.

**მთავრობის კრიზისის გამო.**

გაზ. „რუს. ვოლია" არკვევს მთავრობის კრიზისს და სწერს:

„დროებითმა მთავრობამ მიატოვა თვისი ძველი პოზიცია უკრაინელთა მოძრაობის შესახებ და გადადგა კიდეც ნაბიჯები, რათა უთანხმოების ლიკვიდაცია სასწრაფოდ მოეხდინა. წერეთელმა და კერენსკიმ ცენტრალ რადასთან შეთანხმებით ჯერ ადგილობრივ, კიევში, მოაგვარა უკრაინული კითხვა, შემდეგ პეტროგრადშიც. უკრაინულ ისტორიულ საბუთს—უნივერსალს თან რუსული ისტორიული საბუთი დროებით მთავრობის დეკლარაცია მოჰყვა უკრაინულ კითხვაზე: ამის მიხედვით უკრაინის ავტონომია არა მარტო პრინციპიალად იქნა აღიარებული, არამედ მის გასახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯების მთელი რიგიც გადიდგა, ხოლო სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების კომპეტენციაში დარჩა მისი საბოლოო გადაწყვეტა. ამ ნაირად უკრაინელებიც დაკმაყოფილებულ იქმნენ და გახარებულიც და არც რუსეთსა აქვს საბუთი დამწუხრებისა. მაგრამ ამ სასიხარულო მოვლენის ნიადაგზე აღმოცენდა კოალიციურ სამინისტროს კრიზისი. უკრაინის კითხვის შესახებ დეკლარაციის გამოცემის შემდეგ კადეტთა პარტიების ცენტრალმა კომიტეტმა თვის წევრებს აუკრძალა მთავრობაში დარჩენა და კადეტებიც გამოვიდნენ. ეს მოსალოდნელი იყო მის შემდეგ, რაც კადეტებმა შეურიგებელი გზა ირჩიეს უკრაინის კითხვაში და თვისავე წევრებს აღუკრძალეს კიევში მოსალაპარაკებლად წასვლა კადეტები ლოღიკურ გზას დაადგნენ და წავიდნენ. მაგრამ რა საშინელია ეს ლოღიკა! და განა მარტო ლოღიკა არის საქმე? კადეტები მოეჩლაუჭენ უკრაინულ კითხვას, როგორც საბაბს მხოლოდ, რათა ძველი ანგარიშები გაესწორებიათ დროებით მთავრობასთან.

კოალიციური სამინისტროს იდეა და სოციალისტურ წრეებთან მუშაობა კარგი ხანია კადეტებს აღარ აკმაყოფილებს. ის მსხვერპლი, რომელსაც თანამშრომლობა მოითხოვს, მათ მეტად სამძიმოდ მიაჩნიათ. მაგრამ ამ მსხვერპლის გაღებას რუსეთის კეთილდღეობა მოითხოვს. რადგან მხოლოდ ეს გზა მიიყვანს დამფუძნებელ კრებამდის. ესეც არის შეტევა დავიწყეთ და ამ დროს კი მთავრობა უძლურდება ყველაზე უფრო სერიოზულ სამინისტრო კრიზისით. რის გულისთვის შვრებიან ამას? მხოლოდ პარტიულ დისციპლინისათვის? მაგრამ ეხლა ხომ ის დრო არის, როცა პარტიული მოსაზრებანი მინისტრებისთვის არ უნდა არსებობდეს. მინისტრებისათვის მხოლოდ ერთი და უზენაესი პასუხისმგებლობა არსებობს—პასუხისმგებლობა ხალხისა და ისტორიის წინაშე, რისთვისაც აუცილებელია უმაღლესი სოლიდარობა მთავრობის ყველა წევრთა შორის.

რასაკვირველია არსებობს უთანხმოება შეხედულებათა და რწმენათა შორის მინისტრებში. მაგრამ ეს მინისტრები შეადგენენ რუსეთის უმაღლეს დაწესებულებას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ორგანოს. მათი არის ეს ძალა უფლება და არა სხვისი და ვერავითარი პარტია მათ ამ ძალა უფლებას ვერ წაართმევს. თვითეულმა მინისტრმა თვითვე უნდა ასწონ-დასწონოს მდგომარეობა და შეუფარდოს თავისი მოქ-

მედება უდიდეს კეთილდღეობას რუსეთისას. სრულიად უადგილოა აქ პარტიების ჩარევა. მაგრამ კადეტთა პარტიის ცენტრალი კომიტეტი არა სცნობს ამას და მინისტრებიც მას ემორჩილებიან. ამნაირად სახელმწიფოს დახსნაზე უარს ამბობენ არა კერძო პირები, არამედ მთელი პარტია, რომელიც ყველაზე უფრო გავლენიანია არა სოციალისტურ პარტიათა შორის. მაშასადამე მდგომარეობას იგი პარტია უნუგეშოდ სთვლის, ხელებს იბანს და საქმის მიმდინარეობას უიმედობას თან ატანს. მაგრამ როგორ იმოქმედებს ეს სახელმწიფოს სამხედრო საქმეებზე და ფინანსებზე? ჩვენ ვერ გაგვიგია კადეტების გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში მათი საქციელი არ აღიბეჭდება რუსეთის ისტორიაში, როგორც პატრიოტული საქციელი".

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

### დეპეშები

**კერენსკის ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი.**

პეტროგრადი. ივლისის 10. რადგანაც უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია, რომ ჯარში ამა თუ იმ თანამდებობაზე არჩეული ყოფილი ჟანდარმები და საიდუმლო პოლიციელები ბოროტად იყენებდნენ თავის მდგომარეობას, ჯარის კაცებს აქეზებდნენ ურჩობისთვის, კონტრრევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ და ამავე დროს კი უკიდურეს ლოზუნგებს აფარებდნენ თავს, დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) სამხედრო ორგანიზაციებში თანამდებობაზე არ უნდა ირჩეოდნენ ყოფილი ჟანდარმები და პოლიციელები! 2) ამათგან გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ისინი, ვინც ბრძოლის ველზე დაამტკიცებენ თავის ერთგულებას თავისუფალ რუსეთისადმი, რაც უნდა შემოწმებული იყოს წესის მიხედვით; 3) ეს დადგენილება ცხოვრებაში იქნეს გატარებული ვიდრე სენატი გამოაქვეყნებდეს მას. სამხედრო და საზღვაო მინისტრი

კერენსკი.

**მ. ჯ. და გლ. საბჭოთა აღმ. კომიტეტის მოწოდება.**

პეტროგრადი. ივლისის 10. მუშ., ჯარის. და გლეხთა საბჭოების გაერთიანებულმა კრებამ შემდეგი მოწოდება გამოსცა: ამხანაგებო ჯარისკაცებო! ერთი არმია გატყდა, ვილჰელმის ჯარი ქვეყანას შემოესია და სიკვდილი და განადგურება მოაქვს თან. ვის ედება ბრალი? იმათ, ვინც ჯარს უმწეოდ სტოვებდა, დისციპლინას არღვევდა, გაჭირვებულ დროს განკარგულებებს არ ასრულებდა, ვინც ამის მაგივრად ლაპარაკსა და კამათს უნდებოდა. ბევრ იმითგანს, რომელიც თავის გადასარჩენად გამოიქცა უკან, მტრის ტყვიამ მოუღო ბოლო.

ამხანაგებო, თუ ამას ვერ შეიგნებთ, რუსეთი დაიღუპება. კმარა სიტყვები, მოქმედების დრო დადგა. დროებით მთავრობას ჩვენ ერთხმად მივანიჭეთ დიდი უფლებები. ვინც ბრძოლის განკარგულებებს არ შეასრულებს, ის მოღალატეა.. ამხანაგებო, თქვენ გინდათ მტკიცე ზავი, მიწა და თავისუფლება. მაშ იცოდეთ, მხოლოდ მედგარი ბრძოლით მოიპოვებთ ზავს რუსეთისა და სხვა ხალხებისთვის. გერმანელთა ჯარის წინ რომ იხევით, თქვენ, დაჰკარგავთ ზავსაც მიწასაც და თავისუფლებასაც. გერმანეთის გამარჯვებულ იმპერიალისტები თავის ინტერესებისათვის გაბრძოლებენ კიდევ.

ნუ იქნებით მხდალები, ერთი ნაბიჯითაც ნუ დაიხევთ უკან. თქვენ ერთი გზა გაქვთ—წინ! ზურგით მყოფო ჯარისკაცებო, ბრძოლაში გასასვლელად მოემზადენით. შეასრულეთ ბრძოლის განკარგულებები და იბრძოლეთ მტკიცე ზავისა, მიწისა და თავისუფლებისათვის. გადამწყვეტ წამებში ყოყმანი ურჩობაზე უარესია. ამხანაგებო, რუსეთი და მთელი ქვეყნის მშრომელნი თქვენ შემოგყურებენ რუსეთის რევოლუციის დამარცხება ყველასათვის საზარალოა. გამოიჩინეთ მამაცობა, მოიკრიფეთ ძალა, შეისმინეთ დისციპლინა რევოლუცია საფრთხეს გადაარჩინეთ.

**მოწოდება რკინის გზის მოსამსახურეებისადმი.**

პეტროგრადი. ივლისის 10. გზათა სამინისტრომ შემდეგი მოწოდებით მიმართა რკინის გზის მოსამსახურეთ. მოქალაქენო, რკინის გზის მსახურნო! ბრძოლის ველის დღევანდელი ამბები მოითხოვს რუსეთში მყოფ მოქალაქეთაგან და კერძოდ თქვენ რკინის გზის მოსამსახურეთაგან — ხელის შეწყობას. ჩვენი ხელის შეწყობა იქნება თუ შევიკრიბებით ერთად, სამშობლოს დასახსნელად. ბოლო ხანებში სარკინისგზო მუშაობა ფრიად შესუსტდა. მიზეზი მისი მწარმოებელ შრომის დაკლებაა. მოგიწოდებთ, ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია თავისუფლება აჩვენოთ ქვეყანას, რომ მიუხედავად ათას გაჭირვებისა რკინის გზათა მოსამსახურეების ლაშქარი პირადად ეგოისტურ ინტერესებისთვის კი არ ხელმძღვანელობს, არამედ ლაშქართან ერთად იბრძვის თავისუფლებისა და დიდებისათვის, ბრძოლის დროს უნდა მოიშოროთ გამცემნი და მოღალატენი. ავსტრო-გერმანეთის იმპერიალიზმზე გამარჯვება შვებას მისცემს მშრომელ ხალხს! მატერიალურ მძიმე მდგომარეობით იძულებულნი ფრთას ვაკვეცავთ ზოგიერთ ჩვენს სურვილებს. ახლა სამშობლოსათვის ბრძოლაა და აქ ანგარიშებს ადგილი არა აქვთ. წინ -ძმურად მძიმე სამუშაოს შესასრულებლად. ვეცადოთ ვიყვეთ ღირსეული ძმები—გმირ მეომართა.

**მოწოდება მუშებისადმი.**

პეტროგრადი. ივლისის 10. დეპ. საბჭ. ცენტრალ კომიტეტის და გლეხ. დეპ. საბჭ. აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ რუსეთში მუშა ქალებისა და კაცების მიმართ შემდეგი მოწოდება გამოსცა: „ამხანაგებო! შინაურ ამბოხებით გერმანელებმა ისარგებლეს და ჩვენი ფრონტი გამოარღვიეს. მათ ჩვენი რევოლუციონური ლაშქარი ვერ შეაკავებს. რადგან მათშიც დაშლა და უთანხმოება შეიტანა მოღალატე აგიტაციამ აი ამ დროს რუსეთში ჯერ კიდევ სიწყნარე არ ჩამოვარდნილა. ბნელი ძალები სცდილობენ რევოლუციის მახვილის ჩასაცემად კვლავ მარჯვე დრო მოიპოვონ. დღითიდღე იზრდება საქმეთა არევ-დარევა და მეურნეობის დაშლა. სიმშილი და უმუშევრობა იჩენს თავს. მხოლოდ რუსეთის ყველა ცოცხალ ძალთა ენერგიულ ღონისძიებებით თუ შეიძლება მტრის შეჩერება და რევოლუციის ხსნა. რევოლუციონურ დემოკრატიის ნებით დროებით მთავრობა რევოლუციის მხსნელ მთავრობად გამოცხადდა. იგი ენერგიულად შებრძოლება ანარქიას. იგი ეცდება რომ ყოველივე კონტრ-რევოლუციონური ჩანასახი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას. დროებითი მთავრობა დიდს კავშირს იქონიებს რევოლუციონურ დემოკრატიის ორგანოებთან. იგი სამეურნეო ცხოვრებაში ჩაერევა და მრეწველობის საქმეს წესიერ გზაზედ დააყენებს. მხოლოდ მთელს რევოლუციონურ დემოკრატიაზე დამყარებული რევოლუციონური დიკტატურა იხსნის სამშობლოსა და რევოლუციას! ამხანაგებო! ერთად შევეგებნეთ რევოლუციის ყველა საფრთხეს. რევოლუციის ხსნა თქვენს ხელშია პირველნი მიდიოდით თავისუფლების მოსაპოვებლად, პირველად აღმართულ დროშას გამარჯვებამდის ნუ დახრით. თქვენთ ქვენს აღაგსუნ და დარჩეთ. უკან დახევა არ შეგფერით. კმარა სიტყვები დადგა ჟამი როდესაც სწრაფა გვმართებს მოქმედება ნუ თუ თქვენ მოისურვებთ ანდა მოისხლე ნიკოლოზის მძიმე უღელს რომ ვილჰელმის ჩექმამ გაკვრით დაუბრუნდე? არასოდეს ამხანაგებო რუსეთის რევოლუციის დროშა—იმ ზავის დროშაა, რომელსაც აგრე ელის რუსეთი და მთელი ტანჯული კაცობრიობა. რევოლუციის დაღუპვას ან ომის გაგრძელება მოჰყვება, ან და სეპარატიული ზავი. ყველა ქვეყნის პროლეტარებმა შეიგნეს ეს და მწუხარებით ადევნებენ თვალ-ყურს ჩვენს ლონე მიხდილ რევოლუციას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სხვა ქვეყნების ჩვენი მოძმენი ყოველ ღონისძიებას იხმარენ, რომ თავთავიანთი მთავრობა რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიის მიერ გამოცხადებულ ზავზე დაიყოლიონ. ამხანაგებო, უბრძოლველად ნუ დასთმობთ სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას დაუბრუნდით მანქანებს: დაე ყველგან — ფაბრიკა-ქარხნებში და სახელოსნოებში შრომა გაჩაღდეს. ლაშქარი ყუმბარა-პატრონებით უზრუნველ უნდა ჰყოთ. ლაშქარს სურსათი უნდა. დაე, როდესაც მწუხარე მინდვრებზე რაინდნი სულს უტევებენ—იცოდნენ, რომ თქვენც მათთან ხართ, რომ არც თქვენ დაზოგავთ სამშობლოს.თვის სიცოცხლეს. ამხანაგებო! სამშობლოს დაცვა მსხვერპლს მოითხოვს. ამ მსხვერპლს მთავრობა უპირველეს ყოვლისა შემძლე კლასთაგან მოითხოვს, მაგრამ მომუშავეთაც უნდა გასწირონ თავის წილი მსხვერპლი. ამას ისიც მოითხოვს, ამხანაგებო, რომ რევოლუციის დაღუპვით მომუშავე კლასი მთლად დაჰკარგავს მომავალში ბედნიერად ცხოვრების იმედს. ერთგულად შეერთდით რევოლუციის დასაცველად. ფოლადის ბეჭედივით შემოერტყით დროებით მთავრობას. აი მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი, თქვენზე დამყარებული, თავისუფლების და მშვიდობის მოპოვების განმტკიცებას.

**წერეთლის სიტყვა.**

პეტროგრადი. ივლისის 10. დეპ. საბჭოს ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის გუშინდელს გაერთიანებულს კრებაზედ შინა საქმეთა მინისტრმა წერეთელმა დასკვნითი სიტყვა წარმოსთქვა: მე მსურს გითხრათ თქვენ, როგორ უნდა გავამაგროთ რევოლუციის ნამთარი და რა ნაირად ვისარგებლოთ ჩვენდა მონიჭებულის უფლებით. რომ დროებითი მთავრობა რევოლუციურია—ამას ყველა კუთხეებიდან დაამტკიცებენ. რევოლუცია საფრთხეშია ყოველივე ზომების ხმარებით უნდა დავიხსნათ იგი. საჭიროა ძალთა გაერთიანება, რომ პირნათლად მოვიხადოთ ვალი სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე. დროებით მთავრობის ვალია ხალხი მიიყვანონ დამფუძნებელ კრებამდე. საჭირო არ არის ჩვენი ძალა გავაზვიადოთ, არც მცირე რიცხვი მოვაკლოთ ანგარიშს. თქვენ მეკითხებით რად იჯდა (?) სამინისტროში ლვოვი. გაიხსენეთ, რომ დროებითი მთავრობის ტაქტიკა წმინდა დემოკრატიულია სანამ უთანხმოება თეორეტიულად სწარმოებდა, იგი რჩებოდა, როდესაც იგი შეეჯახა დემოკრატიის ნებისყოფის კონკრეტიულ გამოთქმას,—იგი წავიდა, მინისტრის სიტყვას აღტაცებულის ტაშის ცემით შეეგებნენ.

**სიკვ. დასჯის შემოღების წინადადების მოწონ.**

პეტროგრადი ივლისის 12 მოწონება. ივლისის 11-ს დროებითი მთავრობის ღამის სხდომაზე განიხილეს სამხედრო მინისტრის წინადადება ომიანობის დროისათვის ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ. წინადადება ემყარება სარდალთა ად მთავარ სარდალთაგან მოსულ ცნობებს, რომ სიკვდილით დასჯა ფრონტზე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან ღალატის მაგალითები გადამდებ სენივით ვრცელდება ჯარის კაცთა შორის, რომელნიც ბრძანებას არ ემორჩილებიან. საწუხარო მოვლენები მასიურ ხასიათს ღებულობენ. საშიშ მდგომარეობის გამო დროებითმა მთავრობამ სამხედრო მინისტრის წინადადება ერთხმად მოიწონა.

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

**ვილჰელმი და კარლოსი. ფრონტზე.**

სტოკჰოლმი. ივლისის 11. ბერლინიდან იუწყებიან; შაბათს ვილჰელმი ფრონტზე გაემგზავრა. ავსტრიის იმპერატორი კვირას აღმოსავლეთ გალიციის ფრონტს ეწვია ბრზეჟან-კოპანისგორთვის ნაზის ჯარები დაათვალიერა და ღენერალურ შტაბის უფროსის თანადასწრებით სარდალთან თათბირი გამართა.

**ჩინეთის რევოლუციონერები.**

პეკინი ივლისის 10. სამხრეთელ რევოლუციონერთა ლიდერები კაპტანში იკრიბებიან, რათა დამოუკიდებელი დროებითი მთავრობა დაარსონ. იქვე მიისწრაფვის ფლოტი, რომელმაც თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. პროვინციების დიდი ნაწილი მოითხოვს რომ სახელმწიფოს ძალა-უფლება დიუ-კაპ-ნომუს დაუბრუნდეს.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

### დეპეშები.

**აღმოსავლეთის ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** ივლისის 11. დვინსკის სამხ. დასავ. დვინსკ ვილნას რკინისგზის ორივე მხარეს მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენმა ჯარმა გერმანელთა პოზიციები დაიპყრო. ამის შემდეგ მთელი დივიზიები გერმანელთა მხრივ სრულიად ძალდაუტანებლივ თავის მთავარ სანგრებში დაბრუნდენ. მე-24 დივიზიის რამდენიმე ნაწილში, ტულის, ლოხვიცის, სურამის პოლკების და „სიკვდილის ბატალიონის" აფიცრობა მამაცად იქცეოდა და დიდათაც დაზარალდა. მოშხამულ გაზით მოწამლულ იქნა დივიზიის უფროსი ღოლეენნიკოვი. ვილნოს მიმართულებით კრევოს ჩრდილოეთით მტერმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა და ივლისის 9 ჩვენ მიერ დაპყრობილი მაღლობი წაგვართვა. დიდი მეცადინეობა სჭირდებათ აფიცრებს, რომ ჯარი შეაჩერებინათ. სერეტიდან ტარნოპოლამდე სროლაა. ტარნოპოლთან ს. საგორბელში მტერი თავს იყრის და საარტილერიო ცეცხლს ერთობ აძლიერებს. მიკულიცეს მიდამოებში მდ. სერეტზე გადმოსულა მოწინააღმდეგე და სოფ. ვოლიც მაზოვეცი დაიპყრა. სერეტსა და სტრიპას შუა გერმანელები წინსვლას განაგრძობენ.

ივლისის 10 საღ. გერმანელებმა ს. ბერნადუვკა დოროზუვი ბურკანუვი დაიპყრეს. ბუჩაჩის ჩრდილო დასავ. ჩვენი ჯარი გაივორონკა-მონასტერიჟისკოს ხაზზე იბრძვის. მდ. დნესტრის სამხ. ჩვენი ჯარი აღმოსავლეთისაკენ იხევს. სტანისლავოვს ვცლით.

**რუმინეთის ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** ივლისის 10 სოფ. დომუშკპატაკის მიდამოებში „სიკვდილის ბატალიონმა" მავთულის ხლართები გაარღვია, მტერს თხრილებში შეუვარდა, 50 კაცი ტყვე და 3 ტყვიისმფრქ. წაართვა და უკან დაბრუნდა. დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**კავკასიის ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** ივლისის 10. ჩვენმა ჯარმა, ნაღმოსნების დახმარებით ყუმბარები დაუშინა ტირებოლს საწყობები და ყაზარმები დაანგრია. არტილერიის ცეცხლის შემწეობით მზვერავები მდ. კარშეტ დარასიზე გადავიდენ: მათ მდინარის შესართავთან ერთი პუნქტი დაიჭირეს. მზვერავთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, თან ტყვედ წამოეყვანათ 21 კაცი. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა.

**სამხრ. დასავ. ასპარეზის კომისარის მისი თანაშემწისა და მე-8 არმიის კომისარების დეპეშა პრემიერ და სამხედრო მინისტრს.**

ჩვენ, სამხ. დას. ასპარეზის კომისარები ბრძოლის ველზე მოველით, რომ, დავმყარებოდით რა რევოლუც. ორგანოების ავტორიტეტს, სიტყვით დავარწმუნებდით ჯარს და ვაიძულებდით თვისი ვალის მოხდას თავისუფალ სამშობლოს წინაშე. ამასთანავე გაცნობებთ იმას, რაც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია: მე კომისარმა, ბორისშჩენკომ ჩემმა თანაშემწე ვლადიმერ გობეჩიამ მე-7 არმია იმ მდგომარეობამდე მივიყვანეთ, რომ შეტევაზე გადავიდა იგი. გმირები დაიხოცნენ. ეხლა ისინი აღარ არიან და ჯარიც გამოიქცა. როგორ ვაგო პასუხი იმათ სისხლისთვის, თუ რკინის დისციპლინისა და წესიერების შემოღება დავიწყე, რაც ნებას არ მისცემდა მხდალებს გამოქცეულიყვნენ, მთელი ნაწილები და ამხანაგები მიეტოვებიათ და მით ჩირქი მოეცხოთ რევოლუციისათვის და სახელმწიფოსათვის. სხვა გამოსავალი არ არის. სიკვდილით დასჯა იმათ, ვინც თავის თავს უფრთხილდება, ხოლო სამშობლოს, მიწას და თავისუფლებას კი ივიწყებს! დიდი მეცადინეობა დამჭირდა მიზნის მისაღწევად."

მე მაქსიმილიან ფილიჟენკო ბედნიერი ვიყავ, რომ უიარაღოთ ზნეობრივ ზედგავლენით შევძელ ჯარის ბრძოლაში გაგზავნა, რასაც კალუშისა და გალიჩის აღება მოჰყვა და მტერმაც უკან დაიხია. როდესაც მამაცი ჯარი სტოვებს საუკეთესო მამულიშვილთა სისხლით მორწყულ ველებს, რადგანაც მხდალები მას მარტოდ სტოვებენ, რა უნდა უთხრა მას? მე შემიძლია განვაცხადო: სიკვდილი მოღალატეებს! მხოლოდ მაშინ შეიძლება ვსთქვათ, რომ მიწისა და თავისუფლებისათვის წმინდა სისხლი ტყუილად არ დაღვრილა. სამხრ. დას. ასპარეზის კომისარი საპენკოვი, კომ. თანაშემწე გობეჩია და მე-8 არმიის კომისარი ფილიპენკო.

**დასავლეთის ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** ივლისის 10. ავიონან 600 იარდით წინ წავიწიეთ, 60-ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ და მტერი დავაზარალეთ. ოსტავირის აღმ. მარჯვე თავდასხმა მოვახდინეთ. მერეგის ჩრდ.აღმ. გერმ. იერიში მოვიგერიეთ.

პარიზი. ივლისის 10. კრანთან გერმანელებს იერიში მოაქვთ. კაზემატთან მხნე შემოტევის შემდეგ პირველი რიგის სანგრებში შემოგვეჭრნენ, მაგრამ კონტრიერიშით ყველა სანგრებიდან განდევნეს გარდა ერთისა. კალიფორნიასთან გერმანელებმა ჩვენი ჯარი მეორე წყების სანგრებიდან ვერ გამოდევნეს.

ლონდონი. ივლისის 10. ავიონის სამხ. გუშინ მარჯვედ ვმოქმედებდით, მიზანს მივაღწიეთ და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ავრენკურის სამხრეთით, პიუფიბეჯთან მრავალი გერმანელი დავხოცეთ და ზოგიც ტყვეთ წამოვიყვანეთ. ლოოსის სამხრ. ლომბარდ ზრუდესთან გერმანელთა მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ.

პარიზი. ივლისის 10. სერნის აღმ. რამდენადმე წინ წავიწიეთ. რეიმსს გერმანელებმა 850 ყუმბარა ესროლეს. შამპანში ზორპილიეს ჩრდ. დასავ. გერმანელები უკუ ვაქციეთ. მტრის ზარბაზნების სროლა კაკრიართან უშედეგო იყო.

**იტალიის ასპარეზზე.**

**რომი.** ივლისის 10. კომორჩიას მაღლობზე ზარბაზნების სროლით მტრის ბატარეაზე აფეთქება გამოვიწვიეთ კარპიაში ავსტრიელთა დიდი ძალები გავფანტეთ. ლუჟნიცასა, მალბორ გეგოში და ვაჟნის ღელეში ავსტრიელთა მუშათა რაზმების მარჯვედ ვესროდით.

**ბალკანეთის ასპარეზზე.**

**ლონდონი.** ივლისის 10 სერტის სამხ. დას. მტერს თავს მარჯვედ დავესხით და ტყვეები წავართვით და 2 სამთო ზარბაზანი დავუზიანეთ. ჩვენმა საფრენებმა დემირ-გისარას ყუმბარები დაუშინეს.

**აფრიკაში.**

**ლონდონი.** ივლისის 10. ივლისის 4 მტერმა მჩაკამა დასცალა. პაროპ-გომბეს მაღლობზე ივლისის 6 დიდი ბრძოლა იყო; ზარალი ორივე მხრით დიდია. მტერი კიტოპეს სცლის, ხოლო მეხენტთან უკან დახევას განაგრძობს.

**ეგვიპტეში.**

**ლონდონი.** ივლისის 7. ბირშებესთან ჩვენმა ცხენოსნებმა მტერი უკუ აქციეს. გაზის სამხ. დასავ. ოსმალებზე მარჯვე თავდასხმა მოვახდინეთ.

---

შაბათს 15 ივლისს. რეალურ სასწავლებლის დარბაზში საღამოს 6 საათზე, გაიმართება კრება (ქალთა და ვაჟთა.) კრებაზე წაიკითხება რეფერატი მოსწავლე—

**შუბლაძის მიერ.**

ამხანაგებო ვთხოვთ დაესწრონ.

**მოწაფეთა პრეზიდიუმი.**

---

## ახალი ამბავი

✦ **თვით-გასამართლების მსხვერპლი.** სარიყამიში სადგურის ცენტრალ საწყობის გამგე ბუთელაძე ჯარისკაცებმა წამებით მოკლეს. ბუთულაძეს აბრალებენ, რომ მას რიგიანათ არა აქვს დაყენებული ჯარისკაცთათვის გამოგზავნილ ამანათების მიღების საქმე.

✦ **წარმომადგენლები.** ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტმა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში წარმომადგენლებათ დანიშნა: ზ. მაჭავარიანი, გ. ბარათაშვილი, ტრ. ჯაფარიძე და ილია ჩიქოვანი.

✦ **პოლიტიკურთა შესახებ.** ბორჯომსა და აბასთუმანში სამკურნალოთ პირველ რიგში მიიღებენ იმ პოლიტიკურ დამნაშავეთ. რომელნიც ამნისტიის ძალით იქმნენ განთავისუფლებულნი.

✦ **ჯარში გაწვევის შესახებ.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლეონტიევი იტყობინება რომ იმ სტუდენტები, რომლებიც 31 იანვარს იყვნენ შემოწმებული და თეთრი ბილეთები მიიღეს, ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი.

✦ **ჯარიდან გაშვების შესახებ.** სამხედრო სამინისტროს მმართველი იტყობინება, რომ მომქმედ ჯარიდან შეიძლება დროებით გაშვებულ იქმნან ის პირები, რომელთაც რაიმე უბედურება შეემთხვევათ ახლობელ ნათესავების ან სახლობის სიკვდილი ჯარის კაცებმა და ოფიცრებმა ასეთ შემთხვევაში თან უნდა წარადგინონ სოფლის აღმ. კომიტეტებისგან მოწმობა რომ მათი წამოსვლა ჯარიდან მიუცილებელია.

— კრება ივლისის 12-ს მოხდა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კრება თავის საჭიროების გამოსარკვევათ და საკუთარ ბიუროს დასაარსებლათ.

— ქუთ. აღმ. კომიტეტმა საუბნო შემოსავლის კვალობაზე გადასახადების საკრებულოში თავის წარმომადგენლებათ დანიშნა ბ. მოსეშვილი, ბ. გაბუნია, შ. ელიგულაშვილი, და რიჟინაშვილი, მათ

კანდიდატებათ ნ. ჩიქოვანი, ტრ. ბასილაძე. მ. რიჟინაშვილი.

— სავუბერნიო სასურსათო კომიტეტში ქუთ. სავუბ. სასურსათო კომიტეტს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისგან განკარგულება მოუვიდა, რომ ტყავეულობა კერძო პირთ აღარ მიეცემათ ქუთ. გუბერნიის საჭიროებისთვის ტყავი გადაეცემა საგ. სასურსათო კომიტეტს, სადაც უნდა დაარსდეს სპეციალი განმანაწილებელი კომისია.

— ქუთ. საგუბერნიო ალმ. კომიტეტში. საგუბერნიო ალმ. კომიტეტის კანცელარიის უფროს მმართველის თანაშემწეთ დაინიშნა კონ. მინაძე, უმცროს მმართველის თანაშემწეთ ალ. ახობაძე. საგუბერნიო კომისარის თარჯიმანათ იქნება მ. ანთელავა.

— მკვლელობა. სოფ. გუგუმაგათში (სენ. მაზრა) ადგილობრივმა მცხოვრებმა მ. ბოხუამ რევოლვერით მოჰკლა თავისი მკვიდრი ძმა. მიზეზი შემდეგია: მოკლულ ძმას გაუგია, რომ მ. ბოხუა თავის მკვიდრ ბიძაშვილთან ცხოვრობდა. რისთვისაც მას სამართალში მიცემას უპირებდა.

✦ დადგენილება. ტყიბულის სარაიონო ალმ. კომიტეტმა თავის ყრილობაზე დაადგინა: წინადადება მიეცეს მახლობელ სოფლების საზოგადოებათ, რათა გაცემულ იქმნას ყველა ქურდი და მავნე კაცები. გამოიცეს სავალდებულო განკარგულება, რომ ალმ. კომიტეტების ნება დაურთველად სახორცე საკლავი საქონელი არავინ იყიდოს. წინადადება მიეცეს ქუთ. სასაკლაოს, რომ ალმ. კომიტეტების მიერ შეუმოწმებელი საქონელი დასაკლავათ არ მიიღოს.

✦ დანიშვნა. ტყიბულის ალმ. კომიტეტის თავმჯდომარეთ დაინიშნა ტ. აბზიანიძე.

— ხიდი რიონზე. ვანის ექვსმა საზ. დაადგინა მ. დ. რიონზე მდ. ქვინის შესართავთან გაყვანილ იქნას რკინის გზის ხიდი, რის შესახებაც შესაფერი შუამდგომლობა უკვე აღძრეს.

— შეკითხვა. ალმ· კომიტეტი შეკითხა მომხმარებელ საზ. „კოოპერაციას“ გახსნის თუ არა იგი მიხეილის ქუჩაზე ქალაქის კუთვნილ შენობაში საზოგადო ფურნეს.

— ა. ჩხენკელის დეპეშა. ა. ჩხენკელი ქუთ. ალმ. კომიტეტს თბილისიდან დეპეშით ატყობინებს, რომ სოხუმ-სენაკს შუა მდ. ინგურზე ბორანიალ მოსასვლელი გზა გლეხებს დაუხნავთ და ამრიგათ მიმოსვლა შეჩერებულია. გზის დახვნა ეწინააღმდეგება 889 სეს. ა. ჩხენკელი მოუწოდებს ქუთ. ალმ. კომიტეტს გზის აღსადგენათ საჩქაროთ მიიღოს ზომები.

— კვირას, 16 ივლისს, საღამოს 8 ნახევარ საათზე ქ. ზესტაფონში საზოგადო საკრებულოს დარბაზში ილარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას „რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა და დაჩაგრულ ერთა კითხვა“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. მოწვეულნი არიან ყველა პარტიის წარმომადგენელნი. კამათში მონაწილეობას მიიღებს ვ. წერეთელი.

✦ ქართულ-უკრაინული საღამო. კვირას 16 ივლისს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გაიმართება ქართულ-უკრაინული გრანდიოზული საღამო, რომლის ბილეთები უკვე იყიდება 13 ივლისიდან მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, კაფე „რეიმსა“ და „რაი“-ში.

✦ მხედართა კავშირის წარმოდგენა. ივლისის 15-ს ქართველ მხედართა კავშირის დრამატიული დასი ქალაქის თეატრში დასდგავს ისტორიულ დრამას „სამშობლო“-ს. შემოსავალი გადაიდება ქართველ ჯარისკაცთა დრამატიულ წრის სასარგებლოდ. მთავარი როლების შემსრულებელნი იქნებიან: მარო მდივანი, ყალაბეგიშვილი, მურუსიძე და ნემო.

✦ მოხსენება დღეს, პარასკევს, 14 ივლისს, საღამოს საათის 8 ნახევარზე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სალექციო დარბაზში (რეალური სასწავლებელი) ილარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე „დღევანდელი მომენტი და საქართველოში მოქმედნი პარტიები“ ვთხოვთ პარტიის ყველა წევრთ და თანამოაზრეთ დაესწრონ მოხსენებას.

## თბილისი.

— ვ. გუნიას საიუბილეო თანხის რაოდენობა. ვალ. გუნიასთვის სახლ-კარის შესაძენ თანხის გასაძლიერებლად საიუბილეო კომიტეტის სახელობაზე შემოსულა 18,2000 მანეთი და დღით დღე ეს თანხა იზრდება შემოწირულებით, რომელიც უხვად შედის სხვა პირთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათაგან. ზემოდ ხსენებული თანხა ინახება სასოფლო სამეურნეო ბანკში და იმ დრომდე ხელუხლებელი იქნება, სანამ არ მიაღწევს იმ ზომამდე, როცა შესაძლებელი იქნება სახლ-კარის შესასყიდავად, იუბილიარის სიბერისა და დაუძლურების უზრუნველსაყოფად.

— მაჰმადიანთა პროტესტი კერენსკის. ტფილისის მაჰმადიანთა სახელით მაჰმუდბეგოვმა და პიპნოვმა შემდეგი დეპეში გაუგზავნეს მინისტ თავმჯდომარეს და სამხედრო მინისტრ კერენსკის: „ტფილისში მცხოვრები მაჰმადიანები საერთო დღესასწაულ „ორუ-ბაირამის“ ლოცვაზე თავმოყრილნი, ღრმად აღშფოთებულნი სამხედრო მინისტრის განკარგულებით— ჩვენ მხედართა ყრილობის აღკრძალვის შესახებ—პროტესტს ვაცხადებთ მინისტრ სოციალისტის ამნაირ განკარგულებას, და ვაცხადებთ, რომ ასეთი მოპყრობა არ ეკადრება იმ ერთნახევარ მილიონ მაჰმადიანთა მხედრობას რომელიც აგერ 3 წლის ომის განმავლობაში სისხლით იცავს თითო მტკაველ მიწას რუსეთისას და არც ეგუება დღევანდელ მომენტს ვინაიდან ამ განკადგულებით ერთის მხრივ ძალადობა თავისუფლების წინააღმდეგ ხოლო მეორე მხრივ ილახება უკვე მომავალ მოწყობის რუსეთის იმპერიაში“.

ბაქოს ქართულ სკოლასთან. არსებულთავშესაფრში არის 5 თავისუფალი ადგილი. მიიღებენ ომისაგან დაზარალებულთაშვილებს 8 დან 15-წლამდე სრულის პანსიონით მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თხოვნით ქ. შ. წ.. გ. საზ. ბაქ. განყოფილებას, ან თავშესაფარის გამგეს 1 სექტემბრამდე.

## ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექცია.

ოთხშაბათს, 12 ივლისს, გამოჩენილმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა ქალაქის თეატრში წაიკითხა მეტად შინაარსიანი ლექცია რუსულად შემდეგ თემაზე. ბრძოლა ადამიანის უფლებისათვის და რუსეთის რევოლუცია. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. ყველას უნდოდა გაეგო ძველი რევოლუციონერის აზრი რუსეთის რევოლუციაზე. ლექციის დაწყებამდის მცხოვან მოხუცს მიესალმა თავმჯდომარე გრ. გველესიანი შემდენ გრ. ლაღიძე. ლექტორმა დინჯად და ადვილის ენით დაიწყო თვ-სი ლექცია, მან სთქვა, რომ, მართალია, ომი ეკონომიურ ნიადაგზედაც აღმოცენდა, მაგრამ მთავარი ბალი ამაში გერმანეთის სამღვდელოებასა და თავად-აზნაურობას მიუძღვისო.

გერმანეთში მძლავრი და სასტიკი დისციპლინა არის გამეფებულიო. ყველა ქვეყნებში შეგვეძლო ჩვენ, ემიგრატებს საფარი გვენახა და რუსეთის თვითმპყრობელ რეჟიმს კლანჭებისაგან თავი დაგვეხწია, მხოლოდ გერიანეთში, ავსტრიაში და ძველ რუსეთში ყოველთვის გასცემდენ ხოლმე პოლიტიკურ ემიგრანტებსო ეს იმით ახსნა ლექტორმა, რომ გოლლანდიაშიც ინგლისშიც შვეიცარიაშიც და საფრანგეთშიც უფლებები საუკუნოებრივ ბრძოლით არის მოპოებული და ადამიანური უფლებები ყველასთვის აღიარებული, რასაც ცენტრალ სახელიწიფოებში ჩვენ ვერა ვხედავთო. მოპოებული უფლებები ყოველთვის თავგამოდებით უნდა იქნეს დაცული, როგორც ამას ინგლისელები შვებიან.

ლექტორს მოჰყავს ცოცხალი ფაქტები შვეიცარიის კომუნალურ ცხოვრებიდან. ჰოლანდიელებმა, ესპანეთის დესპოტიზმი რომ გაექარწყლებიათ, თვისი სამშობლო ტერიტორიაც არ დაზოგეს, გახსნეს შლუზები და წყლით წალეკეს სამშობლო რამაც აიძულა ესპანეთის ინკვიზიტორები გასულიყვნენ ჰოლანდიიდან. ჰოლანდია არის იდეალური კუთხე პიროვნების თავისუფლებისა და თავსაფარი თავისუფალი აზრისა. ეს შედეგია ბრძოლისა ადამიანისა და მუნიციპალურ უფლებებისათვის. ასევე უზრუნველყოფილია კაცის უფლება შეერთებულ შტატებში. მთელი აქაური სიმდიდრე შექმნილია თავისუფალი პიროვნების თავისუფალი შრომით. აქ სამწუხაროდ, სოციალისტურმა იდეებმა ფეხ-ვერ მოიკიდეს.

ამერიკაში, რომელიც იმის და მიუხედავად, რომ ნორჩი არის ევროპის სახელმწიფოებიდან შედარებით, მაინც 200 უნივერსიტეტით მდიდრობს, როდესაც მთელს მოხუც ევროპაში (გერმანეთი, საფრანგეთი, ავსტრო-უნგრეთი. ინგლისი, იტალეთი, ესპანეთი, ბელგეთი, სკანდინავია, რუსეთი და სხვები) მხოლოდ და 89 უნივერსიტეტები მოიპოება. ეს ნაყოფი არის პიროვნების თავისუფლებისა, მისი უფლებების პატივისცემისა· სადაც ეს არ არის, იქ არის სიღარიბე, სიბნელე, უვიცობა პეტროგრადს პრიორიტეტები ეკუთვნის ამ მხრივ. სადაც დაცულია უმაღლესი შეგნება ადამიანის უფლებებისა, მხოლოდ იქ არის ნამდვილი თავისუფლება. (მქუხარე ტაშის ცემა).

საფრანგეთის დიდ რევოლუციის დაწყებისას ლაფაიეტის პირველი საქმე ის იყო, რომ მან უწინარეს ყოვლისა პიროვნების თავისუფლების კითხვა და სხვა.

სრული თავისუფლება პიროვნებისა უნდა გამოიხატებოდეს პოლიტიკურად, მოქალაქობრივად, ეკონომიურად და აზროვნების მხრივ.

თავისუფლება უნდა იქნეს კომუნალური, ოლქობრივი და ეროვნული თვით მართველობისა.

დიდმა საფრანგეთის რევოლუციამ გამოიწვია ის, რომ საბერძნეთს, ბულგარეთს, სერბეთს, მთაშავეთს, რუმინეთს და სხვა დამონებულ ერებს საბოლოოდ აეყარათ მძიმე ბორკილები ეროვნული ჩაგვრისა. ეხლა კი ამნაირადვე თავისუფლდებიან პოლონეთი, ფინეთი და სხვებიც.

რუსეთი უკვე შეუერთდა იმ დიდებულ წრეს, რომელმაც მე-13 საუკუნიდან იწყო თავისუფლებისათვის ბრძოლა. მას ეხლა ეძლევა საშვალება შეუერთდეს რესპუბლიკურ ქვეყნებს და შეერთებულის ძალით იხსნას კაცობრიობა და პიროვნება ცენტრალ სახელმწიფოების კლანჭებისაგან.

უფრო გერმანეთში, სადაც საშუალო საუკუნოების სული ტრიალებს. ეს დიდი რევოლუცია გადისვრის თვის მძლავრ ტალღებს გერმანეთშიდაც და დაამხობს იქაც ვილჰელმის სისხლით შეღების ტახტსო.

ასე დაამთავრა თვისი ლექცია მცხოვანმა ლექტორმა. საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ლექტორი, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი. არსებითად კამათი არ შეხებია მოხსენებას. რამოდენიმე დამსწრეთაგანმა შეკითხვა მისცა ლექტორს, რომელიც იოლად და სხარტულად აძლევდა ყველას პასუხს, აინტერესებდა ლექტორის აზრი ბოლშევიკებისა და ანარქისტების მოქმედების შესახებ რუსეთში. მან დაჰგმო ბოლშევიკების ტაქტიკა და საქციელი და მოღალატეები უწოდა მათ, ხოლო ანარქისტები, პეტროგრადში რომ მოქმედებენ, ანარქიზმთან საერთო არა აქვსთ რაო.

სოციალისტური რევოლუციის შესახებ ლექტორმა სთქვა: როგორ შეიძლება ლაპარაკიც კი იმაზე, რაზედაც არავინ ფიქრობსო. სხვათა შორის ბევრმა უხერხული კითხვები დაუყენეს ლექტორს. ღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც კამათი დასრულდა და საზოგადოებაც მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

დამსწრე.

## კავკასიის რუსთა საეკლესიო კრების გამო.

რუსების აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობაზედ. დეკანოზი პოპოვი და მისი მავრაზმლობა. რუსის სამღვდელოების პროვოკაცია.

პატივცემულ მკითხველებს უთუოდ უნდა მოეხსენებოდეს, რომ ქალაქ თბილისში ეპ. გრიგოლის თავმჯდომარეობით მოხდა რუსთა და ბერძენთა სამღვდელოების კრება. ერთმა აქ დამსწრე ქართველ მღვდელთაგანმა ამ კრების მსჯელობის შესახებ აი რა გადმომცა: თურმე რუსის ეპისკოპოსები და სამღვდელოება ამ კრებაზედ ისევ ჩვეულებისამებრ მსჯელობდა და დიდის ჰპაპ-წყვეტისა და ვაივაგლახის შემდეგ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის შესახებ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

**Признать грузинскую церковь неблагодатною, не каноническою и не апостольскою**“. აი, სწორეთ ამაზედ უნდა იყოს ნათქვამი: „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“. ჩვენი ეკლესია უკვე ზღვარდმო-მადლით შემოსილობით ბრწყინავდა მსოფლიო ეკლესიათა შორის იმ დროს, როცა ზემო-მოყვანილ სიტყვების მთქმელთა წინაპრები ისევ ველურ მდგომარეობაში იყვნენ. მერე კი, თუმცა მართლმადიდებლობა მიიღეს, მაგრამ ამ მერეც საუკუნეშიც ამ ველურობისა და წარმართობისათვის საკმაოდ თავი მაინც ვერ დაუღწევიათ, რის დამამტკიცებელი საბუთები ილიოდორები, გრიშკა რასპუტინები და მისნი მსგავსნი არიან.

ერთ უკანონობათ ამ არამკითხე მოამბეებს ისიც მიაჩნიათ თურმე, რომ საქართველოს ქათალიკოსათ მეფის ძმები და შვილები იყვნენ ხოლმე. ალბათ ამას ანტონ 1-ზე თუ ფიქრობენ. მაგრამ ნეტავი, თუ მოეხსენებათ ამ ვაჟბატონებს, თუ ვინ და ან რა იყო ქართველი ერისათვის ეს უწმინდესი პიროვნება?!... იგი იყო ქართველთა, როგორც სასულიერო, ისე საერო აზროვნება— ლიტერატორობის უმაღლეს წერტილამდე აღმყვანი. ამასთან ერთათ აგრეთვე გულისხმობენ ანტონ 2, ანტონ ჭყონდიდელს და მსგავსთა მათთა, მაგრამ ჩვენის მხრივ მათგან მოვითხოვთ, რომ ამათი სახელების ხსენება აწი აღარ გაბედონ, თუ წინდაწინ პირს არ გამოირეცხენ და პირჯვარს არ გამოისახვენ... მაგრამ ერთმა ბერძნის მღვდელმა ვინმე ლაზარიმ მეცნიერული თვალსაზრისით რუსის მღვდლებს მთლად დაურღვია და ჩაუშალა ფიქრები; იმან თურმე ამ ვაჟბატონებს პირში მიახალა, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერი კი იყო, სანამდის თქვენ ჩამოხვიდოდით, მაგრამ თქვენი ჩამოსვლა და ყველაფრის აოხრება -გატიალება ერთი იყოვო.

თურმე დეკანოზი პოპოვი, ყოფილი კეთილ მოწესე ამიერ კავკასიის რკინის გზის სამღვდელოებისა, ახლაც თურმე ისევ ალხეიბათ განაგრძობს კეთილ მოწესეობას და თავის გუნებისათ აწარმოებს რწმუნებულ სამღვდელოების კრებებს. ეს ის პოპოვი გახლავს, რომელსაც ძველი რეჟიმის დროს გარს ერტყა ჟანდარმ-საიდუმლო აგენტები და მათ ერთ-ერთ მა-ჯვენა ხელათ ითვლებოდა. ამ ორი კვირის წინათ ამ ვაჟბატონს თავის რწმუნებული სამღვდელოების კრება მოუხდენია და არც ერთი ქართველი მღვდელ-მედავითნენი (31 შტატში ქართველი მხოლოდ 6 მღვდელი და 6 მედავითნე ყოფილა) არ მოუწვევია, მაგრამ ამათ გაეგოთ თუ არა, რომ კრება იმართებაო, თავისით გამოცხადებულიყვნენ ამ კრებაზე. ამ კრებას უნდა აერჩია 8 წევრისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც იქნება აწი ფაქტიური გამგე რკინის გზის სამღვდელოებისა; ამ კრებაზე მტკიცე ბლოკის შეკვრით რუსებმა თურმე არც ერთი ქართველი არ გაიყვანეს საბჭოს წევრათ და ამ რიგათ დღეიდგან არც ერთ თავისუფალ ადგილზე ქართველს აღარ დანიშნავენ, რაიცა მეტად აღმაშფოთებელ გარემოებათ ჩასათვლელია. სწორეთ ამაზე უნდა იყოს ნათქვამი: „გარეულმა ქათამმა, შინაური ქათამი გააგდოვო„. იმედია კავკასიის უმაღლესი კომისარიატის წევრები მიაქცევენ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას....

მეტად ყურადსაღებია რუსის სამღვდელოების პროვოკაციული საქციელი. თურმე ეს ანაფორიანი ინტრიგანები თბილისში მომხდარ ორივე კრებებზე (ალბათ რუსის ეპისკოპოსების ლოცვა-კურთხევით) ავრცელებენ მდაბიო რუსთა მოსახლეებში, რომ ქართველებს რუსების ამოჟლეტა უნდათ საქართველოშიო, მაგრამ შემთხვევით იქ დამსწრე ქართველმა მღვდელმა, ს. ხ—ძემ, განუმარტა რუს მცხოვრებთ სრული სიყალბე და ვერაგული განზრახვა ამ ანაფორიან ჯალათებისა, რის შემდეგაც რუსები დაშოშმინდენ და ამისთანა მთაგონებას ყური აღარ ათხოვეს, მაგრამ როდემდის?!... დროა, ამ გარემოებასაც ამ თავითვე შესაფერი ანგარიში გაეწიოს...

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

## მარტვილის დამონავება კომისარ ჭალაგანიძისგან.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ მარტვილის მონასტერი საკათედრო ეკლესია იყო სამეგრელოს ყოველი მკვიდრი და სხვებიც ესასოებოდენ ამ დიდებულს განძს და მარტვილის დღესასწაულს, 29 ივნისს, პეტრე პავლობის დღეს, რომელი ჩვეულებაც აღვიძებდა და განამტკიცებდა ქრისტიანობას. მე, სოფელ სარჩეს (სოხუმის ოლქი), მკვიდრი წამოველ და მთელი წინადღით, რათა დავსწრებოდი მონასტრის წირვას და მეორე დღის დღესასწაულს. მასპინძლად დამხვდა პატივცემული იერომონახი ეპიფანე, რომელმაც [illegible] პატივი მცა [illegible] 28 ივნისს, როცა იგი ემზადებოდა უდიდესი საიდუმლოების [illegible] წირვის მოსასმენად, [illegible] ნახევარ საათზე მობრძანდა. მწირველად მომზადებული, პატივცემული დეკანოზი, კაპიტონ გაწერელია. ამ დროს მოვიდა სტაროსტა ფილიპე კუკეიშვილი და განაცხადა, რომ იგი გამოგზავნა მარტვილით კომისარმა ჭალაგანიძემ, მისთვის რომ, თუ რვა საათიდან წირვა არ იქმნება დაწყებული, კომისარი მოვა მონასტრის დასაკეტად. მაშინ დეკანოზმა კ. გაწერელიამ სთქვა, რომ თუ რაიმე ახალი განკარგულება არ არის ახალის მთავრობისგან ეგ არ უნდა ეხებოდეს კომისარის განკარგულებასო. ამ დროს მოვიდა კომისარის თამაშემწე, სტუდენტი ქავთარაძე, შეიარაღებულის რაზმით და მონასტრის ალყა შემოარტყა და ბრძანების კილოთი უთხრა დეკანოზს, კომისარის ბრძანება რატომ არ შეასრულეო. მან პასუხად მისცა: დღეს საერთო დღესასწაული და წირვა-ლოცვაა დაწესებული ხალხისთვის და უნდა ვიცადოთ სანამ ხალხი არ მოვაო. ამ კომისარის განკარგულებამ სტუმარ-მასპინძელი ყველა აგვაშფოთა და მოვემზადეთ ეკლესიის დაკეტისათანავე თავი წავვეგო, რადგანაც გვეკარგებოდა სასოება. რასაკვირველია წირვა დაწყებულ იქმნა თავის დრზე და გათავებული იმავე შეიარაღებულ პირთა თანადასწრებით: მე, როგორც შორეულ ქვეყნიდან მოსული პირი და მნახველი ესრეთის უწესოებისა, გამოველ მოთმინებიდან და უთხარი საზოგადოებას, რომ მარტვილის მონასტერი დაარსდა ახლა შემოღებულ ქრისტიანობის განსამტკიცებლად ანდრია სოტიქულისაგან და ძველი მთავრობაც კი დიდის ყურადღებით ეპყრობა მას: დღეს ამ ახალი თავისუფლების დროში, უფრო მეტად უნდა ვემსახუროთ მას და შეუშინებლად დავცვათ ქრისტიანობა მეთქი მაშინ რამოდენიმე პირმა აუხსნა დამსწრეთ, რომ ისინი, ურგიეთის მცხოვრებნი, თავის ეკლესიის დღესასწაულს აღდგომის კვირეში უძმობენ და ამ დღეს წირვასაც ისმენენ და ჩვეულებისამებრ დროს გატარებაც იციან. ამ დროს ბატონი კომისარი პეტრე ჭალაგანიძე. მოვიდა თავისი შეიარაღებულის რაზმით მღვდელი შეაშინა წაართვა კლიტე და არც ეკლესიაში შეუშვა ხალხი. არც ოჯახებში სტუმრები და ნათესაობა. რის გამო ყოველივე მომზადება დაგვირჩა გადასაყრელათ.

დროს მარტვილელებმა გვაცნობეს კომისარი განკარგულებით კალისტრატე გაბისანიამ ღამით სახლი დადგა მონასტრის მიწაზედო. როცა კომისარს დავეკითხეთ ამის შესახებ, მან მოგვიგო მონასტრის მიწა არ უნდა. კომისარის თანაშემწემ სტუდენტმა ქავთარაძემ გამოუცხადა კრებას, ხვალ ფერშლის. მეგრელიშვილის, სახლში მისულ იყვნენ ლექციის საყურებლად რომელიც გაიმართება სოც.-დემ. პარტიის სასარგებლოდო; ამ გარემოებამ მე გაკვირვებაში შემიყვანა, ნუ თუ ხალხს შეუძლია შეიკრიბოს კერძო საქმისგამო და არ შეუძლია შეიკრიბოს ეკლესიაში სარწმუნოებრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაინტერესებულ ვყოფ და უნდა მეკითხა ვიმე ნამდვილ სოციალ დემოკრატისათვს. წამოველ დაბა სენაკში, სადაც ორს ივლისს ლექცია წაიკითხა ბ. თევზაძემ და მშვენიერად დაასურათა ახალი თავისუფლება და მისი მომავალი ცხოვრების გზა. შემდეგ მეც მოვითხოვე სიტყვის ნება და ვთქვი რომ საზოგადოება დაყოფილია პარტიებათ და კლასებათ, მაგრამ ჩვენ ვერწმუნებით მხოლოდ იმ პარტიას, რომელი პარტიაც დამფუძნებელ კრებამდის და მისგან საქმის დაკანონებამდიე არ შეეხება ხალხის სარწმუნებას და კერძო საკუთრებას და მით ხალხში შფოთს და შურის ძიებას არ შემოიტანს მეთქი. მაშინ ლექტორმა მითხრა, არას გზით ესრეთი რამ არ იქმნება ნამდვილი სოციალ-დემოკრატისაგან და არცა არადა მაშინ აქვთ ესრეთი რამ შეეტანილი რა საკვირველია ჩემთვის საგულისხმო იყო (პატივცემულ ლექტორის აზრი ჩემთვის ცხადია შეიქნა, რომ ბ. ჭალაგანიძის მოქმედება სრულიად არ ეთანხმება სოციალ დემოკრატების აზრს, არამედ ანარხისტულ და ხალხისთვის მავნებელია მე საჭიროთ ვრაცხ, ვრ თხო-

ვე მთელი საქართველოს ერს რომ, ვინაიდან ჩვენს წინაპარს სისხლით მოურწყავს საქართველოს კუთხეები ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის, ეხლაც ამ სარწმუნოების მოწინააღდეგეს მიემხროს და რადგან კომისარებთან ყველა პარტიის წევრს მოუხდება საქმის დაჭერა, ნუ აირჩევენ კომისარად მარტო ერთი პარტიის წარმომადგენლებს ამას თანავე მოვიხსენებ საქართველოს ერს. მე, ოფხაზმა, ჩამოსულმა ას ოთხი ვერსიდან, თუმცა შევნიშნე, რომ ბ. კომისრის, ქალიგანიძის, მოქმედება, არარის სოციალ დემოკრატიული მოქმედება, არამედ ძველი ბოქაულის მოქმედება უფრო მოგვაგონებს, მაგრამ საჭიროა საერთო ყურადღება მიექცეს ამგვარ კომისრებს და თანამდებობის პირებს, რათა მათმა მოქმედებამ არ გამოიწვიოს ხალხში უბედურება.

თ-დი მიხეილ ტგუსძე ანჩაბაძე.

# რუსეთი.

## პეტროგრადის ამბები.

ივლისის 4 და 5 მომხდარ ამბების დროს მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდა სხვათა შორის 40 წლიან ჯარის კაცთა ნაწილები. მათ პროცესიას უიარაღოდ წყნარად გაუვლია ქუჩებზე. ორატორები მოითხოვენ 40 წლიანების სახლში გაშვებას პურის მოსაკრებად და „შემოდგომაზე კი მტერს შევმუსრავთო“. ისინი ამბობდნენ თურმე, სულ ერთია ეხლა რომ ბრძოლის ველზე წავიდეთ ჩვენცა და ჩვენი ცოლშვილიც შინ შიმშილით დავვეხოცებათ.

## ჯარისკაცები და ოფიცრები.

მე-5 არმიის ოფიცრებმა განიზრახეს საკუთარი ორგანოს გამოცემა („ოფიცრის ხმა“) და ამისთვის ითხოვეს შტაბის სტამბა, ასოთამწყობებმა მუშაობაზე უარი განაცხადეს. მაშინ ოფიცრებმა მათი მოქმედება საარმიო ალმ. კომიტეტში განასაჩივრეს. უკანასკნელმა ამწყობების საქციელი მოიწონა, რადგანაც მისი აზრით კერძო ორგანო არ უნდა იბეჭდებოდეს კავშირის სახელმწიფო და მაშასადამე სახალხო სტამბაში.

## უმაღლესი სკოლა გლეხთათვის.

ვოლოგდის გუბ. კოოპერატორების წარმომადგენელთა ყრილობაზე ერთხმად დაადგინეს, დაარსდეს სასოფლო უმაღლესი სასწავლებელი, რა გვარიც დანიაშია. გლეხებმა საამისო ადგილი უკვე შესწირეს და უკვე შეაგროვეს 5000 მან. ხარჯთ აღრიცხვა გამოანგარიშებულია 150.000 მან, გლეხებმავე შესწირეს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც 12.000 წიგნს შეიცავს.

## ფოსტა-ტელეგრაფის მოუწესრიგებლობა.

ჩვენ ხშირადა ვართ ხოლმე იმის მოწმენი, რომ წერილი ფოსტით ძლიერ იგვიანებს. გაზ. „რუსკაია ვოლია“-ს მოჰყავს ერთი მაგალითი, რომელიც ბოლოს და ბოლოს აფიქრებიებს ადამიანს წესიერად მუშაობს, ხალხი ფოსტაში თუ სხვათაშორის. პეტროგრადში ივნისის 29 მიუღიათ მხოლოდ ივნისის 4 და 6, მოსკოვის გაზეთები. 23—25 დღე უნდება მოსკოვის ფოსტას, რომ პეტროგრადამდე მიაღწიოს. ჩვეულებრივ კი მატარებელი ამ 2 სატახტო ქალაქს შუა სულ ათიოლე საათს უნდება.

სამარიდან ერთი გაზეთი პეტროგრადში 40 დღის შემდეგ მიუღიათ, პარიზიდან კი გაზეთს მხოლოდ ერთვე თ სჭირდება.

## კშესინსკის ქალის „სტუმრები“.

კშესინსკის ქალის სასახლეში მოთავსებულ „სოლდატსკაია პრავდას“ კლუბმა წინადადება მისცა მასპინძელს სასახლიდან ავეჯეულება გაეზიდნა. ამისდა თანახმად ივლისის 6 საბარგო ავტომობილები მოვიდნენ ავეჯის გადასაზიდათ, მაგრამ „კლუბი“-ის ერთ-ერთმა „დირექტორმა“ მტკიცე უარი უთხრა მათ. მაშინ ქშესინსკაიას ქალის ინტერესების დამცველმა სთხოვა როიალის, ხალიჩების, და ბრინჯაოს ნივთების გაზიდვის ნებართვა, მაგრამ მან ასეთი განმარტება მიიღო: „ხალიჩები ჩვენ ლოგინის მაგივრობას გვიწევს, როიალებიც ჩვენ გვჭირია რადგანაც საშინაო კონცერტებს ვმართავთ, ხოლო ბრინჯაოს ნივთებს ვერ მოგცემთ, იმიტომ რომ მაშინ ჩვენ უსინათლოდ დავრჩებით. კლუბის დირექტორმა სთქვა— ეს სასახლე სახალხო კუთვნილებაა და იმ კითხვას, თუ ვის უნდა დარჩეს იგი, დამფუძნებელი კრება გადასწყვეტსო.

## თვით გასამართლება.

სამხედრო საზღვაო მინისტრს ალ. კერენსკის ატყობინებენ, სარიყამიშისა და კავკასიის რკინის გზაზე ჯარისკაცებმა საზარელი თვით გასამართლება მოახდინეს. სადგურის ცენტრალ საწყობის უფროსს ბუთულაძეს ჯარისკაცები აუხირდენ, რომ მას (ბუთულაძეს) წესიერათ არ აქვს დაყენებული ჯარისკაცებისთვის გამოგზავნილ ამანათების საქმე. ბუთულაძემ თავი იმართლა, მაგრამ გაბრაზებულმა ჯარისკაცებმა არ დაუჯერეს და ცოცხლათ დაგლიჯეს. დაჭრილი და დახოცილია 50 კაცი.

## ძარცვა გაფიცვის დროს.

პეტროგრადის სამოსამართლო პალატის პროკურორს ვაჭართა მამასახლისმა შემდეგი მოხსენება წარუდგინა: „გაიფიცენ ყველა სავაჭროების მოსამსახურენი. გაფიცულები ძალმომრეობას ეწევიან სავაჭროების პატრონთა მიმართ. წინდაწინ თხოულობენ სამი თვის ქირის მიცემას, ამ მიზნით ხშირათ ატუსალებენ ვაჭრებს და ფულის გადახდამდე ტყვეთა ყავთ. ზოგიერთი ღარიბი ვაჭრები თვითონ ეწევიან ყოველგვარ საქმეს, ნოქრების დაუხმარებლათ, მაგრამ ნოქრები მათ მაღაზიებს უმტვრევენო“.

# უცხოეთი.

## გერმანეთის კანცლერი.

მეტმან ჰოლვეგის ახალი გადაყენებამ ბევრი გააკვირვა. ის გარემოება, თუ რათ შესცვალეს ბეტმან ჰოლვეგ მიხაელისით, ირკვევა უკანასკნელის ვინაობას შეტყობითაც. მიხეილისა პირველი კანცელარია რომელიც არისტოკრატიულ წრიდან არ არის გამოსული. სამსახური მან უბრალო მოხელეთ დაიწყო ელზასში, ხოლო შემდეგ დაინიშნა მცირე თანამდებობაზევე ვაჭრობის სამინისტროში. აქ პირველად თავი ისახელა თავისი პირველი ნაშრომით შემარიგებელ კამერების შესახებ და როგორც მთავარ შემარიგ. კამერის თავჯდომარემ. უკანასკნელ ხანებში მიხაელის ნედლი მასალის განაწილებისი საიმპერიო კომისარად დაინიშნა, მალე სახელი მიხვეჭა და დიდი უნარიც გამოიჩინა. ახალი კანცელერი ზომიერი კონსერვატრია, მართალია სამხედრო პოლიტიკაში იგი მოისუსტებს, მაგრამ სამაგიეროდ შინაგან საქმეებში საუკეთესო ორგანიზატორად ითვლება.

# შრომის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის მეთაურთა უთაურობა.

სანამ ამ წერილის გამომწვევ მიზეზებს შევეხებოდე, საჭიროთ მიმაჩნია გავაცნო საზოგადოებას ამ დაწესებულების ისტორია და შემდეგ ის, თუ როგორ მიდიოდა საქმე ამა 1917 წლის 22 იანვრამდე ესე იგი იმ დრომდე, სანამ მე ვიყავი მასში საქმეების მწარმოებლათ და საიდანაც მრავალი მიზეზებისა გამო ჩემი სურვილით გამოვედი.

შრომის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსდა 1913 წელს ოკტომბრის 2; გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნენ მღ. გიორგი მანჯავიძე (თავმჯდ.), ვარლამი ჩიხლაძე (კასირი) და სიმონ კვინიკაძე; უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირები ამ გვარ დაწესებულების მართვა-გამგეობის ცოდნას სრულებით მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ რადგან ცოტათ თუ ბევრათ მე მესმოდა წარმოება და წინ გაძღოლა საქმისა, თვით ინსპექტორისა და საზოგადოების თხოვნით, წინააღმდეგ ჩემი სურვილისა, ამირჩიეს საქმის მწარმოებლათ იმ მიზნით, რომ გამგეობას უნდა შეესწავლა წინ გაძღოლა საქმისა და მერე კი მე თავისუფალი გავხდარიყავი.

პირველ თვეში სახელმწიფო ბანკიდან მივიღეთ გრძელ-ვადიანი სესხი მხოლოდ 2000 მანეთი და ამ ფულით იმავე 1913 წელს სამ თვეში მოგება დარჩა 387 მან. და 70 კაპ... 1914 წელში მოკლე ვადიანი სესხი მოგვცეს 5000 მანეთი, და იმ წლის მოგებიდან შევიძინეთ კასა, ყოველგვარი საჭირო ავეჯი, საკანცელარიო ნივთები, წიგნები და ყოველ ხარჯს გარდა წმინდა მოგება დარჩა 145 მანეთი და 72 კაპიკი.

1915 წელში კვლავ მოემატა მოკლე ვადიანი სესხი 5000 მანეთი, გადიდდა პაი და მობარებული ფული და მოგება დარჩა 526 მანეთი და 98 კაპ.

1916 წელს მთელი თანხის რაოდენობამ აიწია 25000 მანეთამდე და ნაცვლად იმისა, რომ ორი სამი ზომა მოგება უნდა დარჩენილიყო, ვხედავთ, რომ ბანკი ზარალობს... ამხანაგობას გული უცრუვდება, წევრების რიცხვი თანდათან კლებულობს, მობარებული ფული უკანვე მიდის და ამ რიგად საქმე სულ უკუღმა მიექანება... ამ გარემოებით დღეს მთელი საზოგადოება აღელვებულია და ბრალიანსა და უბრალოს ერთი მეორეში ვეღარ არჩევს... და ზოგი ისეთი პირი ილანძღება, რომელიც სრულებითაც არ არის დამნაშავე ამ საქმეში და სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ იძულებული გავხდი, სინამდვილისთვის ფარდა ამეხადა და ეს წერილი გამომეშვა არა მარტო შრომის ამხანაგობის, არამედ საქართველოში არსებულ სხვა ამხანაგობების საყურადღებოთაც.

ცხადია. რომ თუ ხალხი საქმეს კარგათ არ იცნობს, თავისი გაჭირვებისა და ზარალის მიზეზებს იქ ეძებს და იქ ხედავს, სადაც ის არ არის... თვალ ახვეულივით აქეთ იქით უმიზნოთ ვეხეტებით და ავსაც და კარგსაც განურჩევლათ ვებრძვით; ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ვინც ნამდვილი დამჩაგვრელია ხალხისა, კიდევაც რომ ვიცნობდეთ იმას, ხმასაც არა ვსცემთ... არა გვაქვს იმის გაგება, რომ დაუკვირვებლათ და წინდაწინვე მარილების მოუმზადებლათ არაფერი შენობის დაწყება და აშენება არ შეიძლება; ვიცით მხოლოდ ის, რომ „თუ საძირკველი დანგრეულია, იმაზე კედლების აშენება ყოვლად მოუხერხებელია“, დანგრეული საძირკვლის ჩვენ ცხოვრებაში გამაგრება კი არ გვესმის...

უნდა მოგახსენოთ, რომ თუ საკრედიტო დაწესებულებებს საქმის მცოდნე გამგეობა უდგია სათავეში, იმ შემთხვევაში მისი საქმეც წინ მიდის და საზოგადოებასაც კარგ დახმარებას უწევს და, თუ ეს ასე არ არის, იგი მაშინ ხალხის გამყვლეფ სავაჭრო დაწესებულებას წააგავს და ასეთ შემთხვევებში, მართლაც რომ დაიხუროს, უკეთესი იქნება... ამ გვარ შემთხვევას ვხედავთ დღეს შრომის ამხანაგობაში და აი როგორ:

მე თავიდანვე მსურდა, რომ გამგეობას საქმის წარმოება დაახლოვებით მაინც შეესწავლა და წესდების მიხედვით ემოქმედნა, მაგრამ ამას იგი სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას და ორი წლის განმავლობაში მთელი შრომა მე დამაწვა და როგორც იყო საქმე მაინც რიგიანათ მიმდინარეობდა; შემდეგ, როდესაც სამოქმედო ასპარეზი ზედმეტათ გაძლიერდა და მარტო ჩემთვის ეს შეუძლებელი შეიქნა, ვსთხოვე საზოგადოებას წლიურ კრებაზე 1916 წ. მაისი 12, რომ ან მე განვეთავისუფლებიე სამსახურიდან და ან გამგეობაში გაეყვანათ ერთი მაინც ისეთი პირი, რომ მცოდნე ყოფილიყო საქმისა; ამ კრებას დაესწრო თვით ინსპექტორი ბ-ნი ა. ნიჟარაძე და იმანაც მოიწადინა, მაგრამ გამგეობას წინდაწინვე ისე მოეწყო საქმე, რომ არჩევნებში მაინც ძველმა გაიმარჯვა და მეც სამსახურიდან არ გამათავისუფლეს... სწორეთ აქ ჩატყდა ხიდი მას შემდეგ საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებისა... გათამამებულმა გამგეობამ ვითომ ჯავრი ჩემზე იყარა, მე უნდობლობა გამომიცხადა და ყოველივე საწარმოვო წიგნები თვითონ ჩაიბარა და მხოლოთ ორ კვირაში ერთ დღეს, და ისიც ფულის გაცემის დროს, შემეძლო წიგნების წარმოება, რისი მოსწრება ყოვლათ მოუხერხებელი შეიქნა და ამან სულ არია საქმე; მე აღარ მიჯეროდენ და თითონ კი გაიძახოდენ: „საქმის წარმოება ჩვენც ვიცით, შენ მხოლოდ „ატჩოტების“ შედგენაში მოგვეხმარეო; ეს ჩემთვის ერთის მხრით კარგიც იყო, რადგან ზედმეტი თავისუფლება მეძლეოდა, მაგრამ მეორე მხრით ვსწუხდი, რომ საქმე უკან მიდიოდა, წიგნები შეუსწორებელი რჩებოდა და ყოველივე წესდების წინააღმდეგ კეთდებოდა, და, რაღა დასაფარავია, ბოროტებასაც ბევრგან ქონდა ადგილი და აი ამისი მაგალითები:

1) წესდ. მე 13 მუხლ. წინააღმდეგ ამხანაგობის წევრებათ მიიღეს ისეთი პირები, რომლებიც საურთიერთო ნდობის საზოგ. წევრათ ირიცხებიან.

2) მე-14 მუხლ. ძალით გამგეობას უფლება არ აქვს საბჭოს დაუკითხავათ წევრი მიიღოს, მაგრამ დაკითხვის მაგალითი ერთიც არ ყოფილა...

3) მე-24 მუხლი წესდებისა მუდამ დარღვეული იყო, რადგან წერილობითი განცხადების შემოუტანლათ წევრს იძულებულს ხდიდენ გასულიყო ამხანაგობიდან.

4) წესდების 27 მუხლის წინააღმდეგ პაის ფული ხშირათ სხვა პირებზე გირავდებოდა და ხან პროცენტებისა და ჯარიმის ფულში იქვითებოდა.

5) მე-55 და მე-56 მუხლის წინააღმდეგ, ვისაც მეტი კრედიტი ერგებოდა, იმას ცოტას უხსნიდენ და, ვისაც ნაკლები, იმას ზედმეტს... ხანდახან ფულის მიცემის დროს პირდაპირ წიგნებში თავიანთი სურვილით უკვე გახსნილ კრედიტს გადაასწორებდენ და ამ რიგათ ზედმეტ სესხს აძლევდენ...

6) მუდამ დარღვეული იყო 57,58,60,61 და 62 მუხლები წესდებისა...

7) მე-67 მუხ. ძალით სარგებლის აღება გრძელ ვადიან სესხზე ფულის გადახდის დროს უნდა მოხდეს, მაგრამ ამ მუხლის შესრულების მაგალითი ერთიც არ ყოფილა...

8) მე-70 მუხლის მიუხედავათ უბედურების შემთხვევის დროს გაჭირვებულ წევრს ფულს არ აძლევდენ სესხათ და, ვისაც არ ესაჭიროებოდა, იმას ამ დროს თავისუფლათ გაქონდა.

9) დაუდევრობით 1916 წელში 4000 მანეთის ვექსილი „პროტესტში“ გაუშვეს და ამით ბანკმა 200 მანეთი იზარალა და ნდობაც დაჰკარგა მთავრობის წინაშე.

10) რომ მეტი დრო არ დაკარგოდათ, რამოდენიმე ათასი მანეთი ერთ დღეს უნდა გაეცათ და ამის შემდეგ რამოდენიმე თვეში ბანკიც უფულოთ რჩებოდა, ამხანაგების რამოდენიმე წევრიც და გამგეობა კი თავისუფლათ იყო და ჯამაგირს კი ღებულობდა...

11) ხშირათ მომხდარა, რომ ვისმე ფულის მიცემას შეპირებიან, დანიშნულ ვადამდის მისი ფული სხვისთვის მიუციათ და გულშემოყრილი გლეხი კი უფულოთ უკანვე გაბრუნებულა; ამის გამო ყოველ სხდომაზე წევრებს შორის ჩხუბი და აყალმაყალი იყო გამართული...

12) 1915 წ. ოქტომბერში მე ვსთხოვე გამგეობას, რომ საზოგადოებისთვის შაბიამანი და გოგირდი გამოგვეწერა; ამაზე ნებას დამყვენ, მაგრამ, რადგან მათ დრო არა ჰქონდათ, ამ საქმეს მე მოვკიდე ხელი; მივიღე საზოგადოებიდან ბე-5000 მანეთი-და გადავაგზავნე მოსკოვის სახალხო ბანკში (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ფულების მიღებაში დიდი დახმარება გამიწია ადგილობრივმა ბლაღ. მღ. დავით სუხიაშვილმა და კოოპერატორმა ნიკ. ხარატიშვილმა-გამგეობას კი სადათას ძილით ეძინა) და რადგან ჩვენ ბანკს სავაჭრო წარმოების უფლება არ ჰქონდა, ამისათვის შაბიამანში და გოგირდში ჩვენ ფულის მოგება არ შეგვეძლო, მხოლოდ ყველას თავიდანვე იმ პირობით გაურიგდი, რომ საქონელი, როგორც დაჯდებოდა, ისე, იმ ფასებში უნდა ჩამებარებინა.

ჩემდა სამწუხაროთ შაბიამნის მოსვლა ამ წელში, ბნელი ძალების მოხერხებით, ძალიან შეფერხდა, ჩემი დაპირება საზოგადოების წინაშე, რომ საქონელი გამომწერლებთათვის მარტში უნდა ჩამებარებინა, მარიამობის თვემდის ვერ შესრულდა, რითაც საზოგადოება დიდათ დაზარალდა და დამიწყეს დევნა მით უმეტეს, რომ ხალხში ხმა გავრცელდა,—ვითომც მე ფული შევჭამე, მე არ გადამიგზავნია; გამგეობამ აქაც იშოვნა ჩემი გასამტყუნებელი საბუთი და, ნაცვლათ იმისა, რომ საზოგადოება დაემშვიდებია, ათას ჭორებს მიგონებდა და ჩემზე ამხედრებდა ყველას; მე თავ-აღებული დავრბოდი ხან თბილისში, ხან ფოთში და სხვაგანაც, რომ როგორმე ცოტა შაბიამანი მაინც შემეძინა და ხალხი დამემშვიდებინა; მაგრამ ჩემი შრომა ამაო გამოდგა და ვერაფერს ვერ გავხდი; როდესაც საზოგადოება ჩახვდა, თუ რაში იყო საქმე და ჩემს გარდა არც სხვა დაწესებულებებს მიუღიათ შაბიამანი, დამშვიდდა და მე გამამართლეს... მოვიდა შაბიამანი და ამ დროს გამგეობამ ყურები სცქვიტა; გამომწერთა სია წამართვეს და და საქონელს, წინააღმდეგ წესდებისა ჩემი საზოგადოებასთან აღთქმული პირობისა, ვრი მოგებით დაუწყო გაყიდვა; ეს, რასაკვირველია, ყველამ შეიტყო და ყველათ ზედმეტ საყვედურში ჩავვარდი და უნდა გამოვტყდე, რომ ეს ამხედრება სამართლიანიც იყო... მუქარის წერილებიც მომივიდა და, თუ შაბიამანს გარიგების თანახმად არ ჩავაბარებდი, [illegible] ჯას [illegible] ამოდენ შეურაცხყოფას იმით გაუძლო [illegible] შაბიამანი და გოგირდი კი გამგეობამ დაურიგა გამომწერლებს ფუთზე ოთხი მანეთის მოგებით...

ამა 1917. წ. 13 აპრილს იყო დანიშნული წლიური კრება ამხანაგობისა; იმ დღეს მეც დავესწარი კრებას და ვსთხოვე საზოგადოებას, რომ აერჩია კომისია, რომელიც „რევიზიას“ გაუკეთებდა გამგეობის ყოველგვარ მოქმედებას, რაზედაც ყველა თანახმა გამიხდა და აირჩიეს სამი კაცი... ამასთანავე დავსძინე, რომ ის ზედმეტი ფული, ხარჯებს გარდა რაც შაბიამანმა და გოგირდმა მოიგო, თქვენ კანონის ძალით უკანვე შეგიძლიათ წაიღოთ, ხოლო თუ ამას არ ისურვებთ, ეს მოგება შეგიძლიათ გადასდოთ ერთ-ერთ კულტურული დაწესებულების სასარგებლოთ თქვა; კრებამ უკანასკნელი ჩემი წინადადება მიიღო და მეორეთ კრება დაინიშნა 21 აპრილისთვის; მაგრამ რადგან კომისიამ ამ დღისთვის ანგარიში ვერ წარმოადგინა, კრება ხელახლა გადაიდვა; მესამე კრებას მე ვეღარ დავესწარი და როგორც კომისიამ გადმოსცა, საქმე ასე წასულა: შაბიამანსა და გოგირდს უნდა მოევო სულ 2320 მანეთი, აქიდან მათ უჩვენებიათ ნახარჯი 805 მანეთი და 675 კი შეჭმული აღმოჩენილა, ხოლო 840 მანეთი მოგება უჩვენებიათ... ბანკს კი მოგების ნაცვლათ ზარალი უნახავს... ზარალის აღსადგენათ გამგეობას შაბიამანის მოგების 840 მანეთი შეუტანია შემოსავლის წიგნში და ამითი განუსაზღვრავს ამა წლის მოგება; ჩემ შესახებ კი კომისიისთვის განუცხადებიათ, ვითომც მე 190 მ. შემეჭამოს!! შაბიამანის ფულიდან; ამის გამო კრებაზე ორ პირს, ალექსანდრე თაბაგარს (ქუთაისის ვაჭარს) და ერემია გველესიანს მოღალატეთა სიაში შეუტანივარ და გაუგერობით ისე შეურცხვენიათ თავი, რომ ამოდენი ჩემი შრომა და ამაგი სულ უბრალოთ და უმადურათ ჩაუტარებიათ... აი სიმართლის აღდგენა და მისი მოძღვრები??...

ყველა ამაების მიხედვით ჩემის მხრიდან როგორც ერთი მკოდნე და პასუხის მგებელი წევრი ამხანაგობისა, მე მოვითხოვ.

1) შაბიამნსა და გოგირდის მოგება, რომელიც წესდების ძალით ყოვლად მოუხერხებელია შეტანილ იქნეს ბანკის მოგებაში,—რადგან ჩვენ ბანკს სავაჭრო ოპერაციის უფლება არ ქონდა, რაც შეჭმულ ფულიანათ შეადგენ 1415 მანეთს, დაუყოვნებლივ გადახდეს გამგეობას და მოხმარდეს ძირულის ხიდს, სამკითხველოს და სკოლას, თუ ხალხი უკანვე არ მიიღებს.

2) გადათვალიერებულ იქნას გასავლის წიგნის შემდეგი ნომრები: 420, 563, 807, 808, 952, 969, 3110, 1441, 1532, 1731 და 1732 და, თუ აქაც ბანკის ფულიც აღმოჩნდეს შეჭმული, გარდახდეს გამგეობას და პასუხის გებაშ იქნეს მიცემული.

3) თუ ჩემგან მართლა 190 მანეთი აღმოჩნდეს შეჭმული, მეც დაუყონებლივ გადამხდეს ეს ფული, ხოლო, თუ არა თუ შეჭმული, არამედ კიდევ ნაღდი ჩემი ჯიბის ფული აღმოჩნდეს დახარჯული, ამის პასუხი გამგეობას მოეთხოვოს, ჩემი ანგარიში გამისწორონ და იმ ორმა პირმა, ალ. თაბაგარმა და ერემია გველესიანმა გაზეთის საშუალებით ბოდიში მოითხოვონ და უკანვე წაიღონ თავისი სიტყვები— წინააღმდეგ შემთხვევაში ყველამ კარგათ იცოდეს, რომ ქვეყნის მოღალატეს და ჩემ უბრალოთ გამლანძღველს მე პასუხს მოვსთხოვ იქ, სადაც ჯერ არს. კმარა ჩემი ამოდენი მოთმინება?!!..

შრომის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობის საქმეების ყოფილი მწარმოებელი

ალექსანდრე ოქროპირისძე ხარატიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკველია.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ ე. შინაგან სნეულებებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ტამბ. „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.